# ცნობა

**ირაკლი კობახიძე** დაიბადა 1978 წლის 25 სექტემბერს.

**2000 წელს** წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

**2005 წელს** უმაღლესი შეფასებით დაამთავრა ჰ. ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურა.

**2006 წელს** ჰ. ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

**2000-2001 წლებში** იყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საზოგადოებრივი განათლების პროექტის რეგიონული კოორდინატორი.

**2006-2014 წლებში** იყო გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარების პროექტების ექსპერტი და მენეჯერი.

**2006-2017 წლებში** იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი და ასოცირებული პროფესორი.

**2011-2014 წლებში** იყო კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**2015-2021 წლებში** იყო პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი.

**2016 წლიდან** არის საქართველოს პარლამენტის წევრი.

**2016-2019 წლებში** იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

**2020-2022 წლებში** იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი.

**2021 წლიდან 2024 წლის 24 იანვრამდე** იყო პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

**2017 წლიდან** არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

**2021 წელს** დაჯილდოვდა თავისუფლების საპარლამენტო ორდენით.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

# ცნობა

**გიორგი ამილახვარი** დაიბადა 1984 წლის 01 იანვარს;

**2006 წელს** დაამთავრა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

**2016 წელს** გაიარა კვლევითი სტაჟირება მაქს პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტში (ჰამბურგი, გერმანია);

**2017 წელს** მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი);

**2004 წელი** - Clinton Davis Pallis Solicitors (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო), ადვოკატის თანაშემწე;

**2006 - 2007 წლებში** - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მთავარი სპეციალისტი;

**2007 - 2010 წლებში** - ლიეტუვას საინვესტიციო კომპანია „ბალტვესტა" - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი/ ქვეყნის პროექტის მენეჯერი;

**2015 – 2020 წლებში** - თბილისის ღია უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი;

**2019 – 2020 წლებში** - უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**2019 - 2022 წლებში** - IAUP უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციის წევრი;

**2020 წელი** - იურიდიული განათლების სტანდარტების შემუშავების საბჭოს წევრი;

**2020 - 2021 წლებში** - საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

**2022 - 2023 წლებში** - საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე;

**2023 წლის 20 მარტიდან** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

**2024 წლის 01 იანვრიდან დღემდე** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ცნობა

**ოთარ შამუგია** დაიბადა 1976 წლის 30 მაისს;

1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, ეკონომიკის ფაკულტეტი, (მაგისტრთან გათანაბრებული);

1998-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად;

1999-2004 წლებში - საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალური ბუღალტერიის უფროსი (მთავარი ბუღალტერი);

2004-2005 წლებში - შპს „საქართველოს რკინიგზა“, ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

2005-2006 წლებში - შპს „საკონსულტაციო ჯგუფის“ ფინანსური დირექტორი;

2006 წელს - შპს „რეალ ქონსალტინგის“ ფინანსური დირექტორი;

2006-2007 წლებში - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბუღალტრო სამსახურის უფროსი (მთავარი ბუღალტერი);

2007-2011 წლებში - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო- საბუღალტრო სამსახურის უფროსი;

2011-2017 წლებში - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

2017 წელს - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

2017-2018 წლებში - ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

2018 წელს - შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი;

2019 წელს - ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი;

2019 - 2020 წლებში - ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე;

2020 - 2022 წლებში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

2022 წლიდან - დღემდე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

# ცნობა

**ლევან დავითაშვილი** დაიბადა 1978 წლის 10 დეკემბერს;

**1999 წელს დაამთავრა** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი;

**2001 წელს** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ბიზნესის მართვის მაგისტრატურა;

**2003 წელს** - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრატურა;

**1997 წლიდან 1999 წლამდე** მუშაობდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სადაზღვევო რეგულაციებისა და სტანდარტების დეპარტამენტის უფროსად;

**1999 წლის ივნისიდან - სექტემბრამდე** იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სოციალური გადასახადების დეპარტამენტის უფროსი;

**1999 –2001** წლებში - მსოფლიო ბანკის საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მართვის დახმარების ცენტრის (CERMA) მთავარი ბიზნეს-კონსულტანტი;

**2002 წლიდან 2007 წლამდე** - შპს "წინანდლის ძველი მარნის" გენერალური მენეჯერი;

**2007– 2009 წლებში** - USAID-ის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის Ag Vantage-ის მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

**2009 – 2012 წლებში** იყო შპს "SCHUCHMANN WINES GEORGIA"-ს გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი;

**2010 – 2011 წლებში** - საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირის გამგეობის წევრი, გამგეობის თავმჯდომარე;

**2012 წლის 4 დეკემბერიდან 2014 წლის 5 ნოემბერამდე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს - ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი;

**2014 წლის 5 ნოემბერიდან 2016 წლის 8 სექტემბერამდე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

**2016 წლის 9 სექტემბრიდან 2017 წლის 15 დეკემბერამდე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;

**2017 წლის 15 დეკემბრიდან 2022 წლის 9 თებერვლამდე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი;

**2022 წლის 9 თებერვლიდან დღემდე** არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;

**2021 წლის 12 ივლისიდან დღემდე** - ასრულებდა ვიცე-პრემიერის მოვალეობას;

ფლობს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**ცნობა**

ირაკლი ჩიქოვანი დაიბადა 1980 წლის 28 აგვისტოს, საქართველოში ქალაქ ზუგდიდში.

2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით.

2005 წელს დაამთავრა ნატოს თავდაცვის კოლეჯი (რომი, იტალია).

2001-2004 წწ იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურისკონსულტი, განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის დირექტორი.

2004-2005 წწ – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის დეპარტამენტის დირექტორი.

2005-2007 წწ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი.

2007-2009 წწ – გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე.

2010-2016 წწ – პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ გამგეობის წევრი, გენერალური მდივანი.

2012-2016 წწ – საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან“.

2012-2014 წწ – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე.

2014-2016 წწ – საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე.

2018-2019 წწ – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სტრატეგიული კომუნიკაციების საკითხებში.

2019-2020 წწ – საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში.

2020 წლიდან დღემდე იყო საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოდან“. 2023 წლიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

ირაკლი ჩიქოვანს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი და პირველი კლასის სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

# ცნობა

**რატი ბრეგაძე** დაიბადა 1982 წლის 12 დეკემბერს;

განათლება:

**2008 – 2011 წწ.** სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი - დოქტორანტურა, მინიჭებული სამეცნიერო ხარისხი: სამართლის დოქტორი (Dr.iur), ჰამბურგის უნივერსიტეტი;

**2006-2007 წწ.** სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი - მაგისტრატურა; მინიჭებული ხარისხი : სამართლის მაგისტრი (LL.M.), ჰამბურგის უნივერსიტეტი;

**2005-2006 წწ.** ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტი (სამეცნიერო მივლინება);

**2003 წ.** ზაარლანდის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობისა და ეკონომიკური მეცნიერებების ფაკულტეტი (სასწავლო მივლინება);

**2000-2005 წწ.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; მინიჭებული კვალიფიკაცია: იურისტი (მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი).

საქართველოსა და გერმანიაში სწავლის პერიოდში იყო პრეზიდენტის, მემედ-აბაშიძის სახელობის, გერმანიის აკადემიური გაცვლების სამსახურის და კონრად-ადენაუერის ფონდის სტიპენდიანტი.

სამუშაო გამოცდილება:

**2021.01.04** - დღემდე საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

**2019-2021 წწ.** საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; მინისტრის მოადგილე;

**2017-2019 წწ.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი;

**2016 წ.** დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი; მინისტრის მოადგილე;

**2015-2016 წწ.** სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი; აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;

**2012-2015 წწ.** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; მინისტრის მოადგილე;

**2012-2013 წწ.** სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, ცენტრის უფროსი;
**2011- 2012 წწ.** იურიდიული კომპანია „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“ (მკდ) იურისტი, გერმანული მიმართულების ხელმძღვანელი.

აკადემიური საქმიანობა:
**2019 წ.** კავკასიის უნივერსიტეტი; სრული პროფესორი;
**2015-2016 წწ.** სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი; მოწვეული ლექტორი;
**2015 წ.** საქართველოს უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, მოწვეული ლექტორი.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ცნობა

**თეა წულუკიანი** დაიბადა 1975 წლის 21 იანვარს;

1992 წელს დაამთავრა ლიონის (საფრანგეთი) ამპერის სახელობის ლიცეუმი;

1997 წელს – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი;

1998 წელს დაამთავრა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიის აკადემია;

1997-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში;

1998 წელს წარმატებით ჩააბარა საკონკურსო გამოცდა საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლაში (ENA), რომელიც ექვემდებარებოდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრსა და პრეფექტებს. სწავლის პერიოდში მუშაობდა სარტის დეპარტამენტის (დასავლეთ საფრანგეთი) პრეფექტის კაბინეტში ქალაქის რთულ უბნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე;

2000 წელს დაამთავრა სახელმწიფო მართვის სკოლა და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი საჯარო ადმინისტრაციაში(MPA);

2000 წლის სექტემბერში ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შტატიანი თანამშრომელი (იურისტი);

2005 წელს მიენიჭა უფროსი იურისტის საკლასო ჩინი;

2006 წლიდან იყო სასამართლოს რეგლამენტის კომიტეტის წევრი;

2009 წლიდან იყო მომხსენებელი ერთი მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეებზე. 2010 წლის თებერვალს გადადგა დაკავებული თანამდებობიდან და დაბრუნდა საქართველოში;

2010 წლის 15 მაისს შეუერთდა პოლიტიკურ პარტია „თავისუფალ დემოკრატებს“, როგორც პარტიის თავმჯდომარის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში;

2012 წლის 1 ოქტომბერს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად;

2012 წლის 25 ოქტომბრიდან - 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი, 2019 წლის 13 სექტემბრიდან 2020 წლის პირველ ოქტომბრამდე დაკისრებული ჰქონდა ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება;

2020 - 2021 წლებში იყო საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე;

2021 წლის 22 მარტიდან - 2024 წლის პირველ იანვრამდე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, 2024 წლის პირველი იანვრიდან - დღემდე საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი;

2021 წლის 12 ივლისს დაეკისრა ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება;

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

# ცნობა

**ზურაბ აზარაშვილი** დაიბადა 1979 წლის 6 იანვარს;

1999 წელს დაამთავრა ESM ბიზნესსკოლის ბიზნესადმინისტრირება, ზოგადი მენეჯმენტი (ბაკალავრი);

2009 წელს დაამთავრა ESM ბიზნესსკოლის ბიზნესადმინისტრირება, ფინანსური მენეჯმენტი (მაგისტრი);

01.2000 – 06.2000 - სს „თიბისი ბანკი“, საკრედიტო სესხების ექსპერტი;

06.2000 – 10.2000 - სს „თიბისი ბანკი“, ბუღალტერი;

10.2000 – 02.2002 წლებში - სს „თიბისი ბანკი“, საკრედიტო მენეჯერი;

02.2002 – 08.2003 წლებში - სს „ქართუ ბანკი“, საკორესპონდენტო ანგარიშების და დოკუმენტური ოპერაციების სპეციალისტი;

08.2003 – 01.2005 წლებში - სს „ქართუ ბანკი“, პლასტიკური ბარათების პროცესინგის და მომსახურების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

01.2005 – 06.2008 წლებში - სს „ქართუ ბანკი“, პლასტიკური ბარათების პროცესინგის და მომსახურების განყოფილების უფროსი;

06.2008 – 06.2012 წლებში - სს „კორ სტანდარტ ბანკი“, საბარათე ოპერაციების განყოფილების უფროსი;

04.2013 – 08.2014 წლებში - სს „კორ სტანდარტ ბანკი“, ოპერაციების დირექტორი;

08.2014 – 03.2020 წლებში - სს „ტერაბანკი“, კომერციული დირექტორი;

03.2020 – 02.2021 წლებში - სს „თბილავიამშენი“, გენერალური დირექტორი;

03.2020 – 02.2021 წლებში - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, გენერალური დირექტორი;

02.2021 – 12.2021 - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

30.12.2021 წლიდან დღემდე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.

# ცნობა

**ირაკლი ქარსელაძე** დაიბადა 1978 წლის 28 თებერვალს;

1999 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობით;

2004 წლიდან 2006 წლამდე – გაეროს განვითარების პროგრამის - პროექტის „საჰაერო და საზღვაო პორტები“ ექსპერტი - სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა;

2006 – 2009 წლებში – სს „ქართუ ჯგუფი“ - საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორი;

2009 – 2010 წლებში – სს „ლომისი“ ლუდსახარში ნატახტარი - ლოჯისტიკისა და შესყიდვების დირექტორი;

2010 – 2011 წლებში – სს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ - შესყიდვების, ლოჯისტიკისა და ადმინისტრაციის დირექტორი;

2011 - 2012 წლებში - შპს „დიპლომატ ჯორჯია“ - ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორი;

2012 – 2014 წლებში – საქართველოს მთავრობის კანცელარია - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის მოადგილე;

2014 –2018 წლებში – საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი, აღმასრულებელი დირექტორი;

2018-2021 წლებში - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

2021 წლის 22 თებერვლიდან დღემდე - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

# ცნობა

**ილია დარჩიაშვილი** დაიბადა 1981 წლის 21 თებერვალს;

1998 – 2004 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.

2002 წელს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი, სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე, ხოლო 2004 წელს - ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით, საბაჟო საქმე.

2011 წელს მიღებული აქვს ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხი გრენობლის ბიზნესის სკოლაში (გრენობლის მენეჯმენტის სკოლა, საფრანგეთი), სპეციალობით მენეჯმენტის კონსულტანტი.

2003 – 2011 წლებში მუშაობდა სს „ბანკი რესპუბლიკა"-ში ფილიალის მმართველად.

2012 – 2014 წლებში იყო ფინანსური მენეჯერი პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში.

2014 – 2015 წლებში მუშაობდა სსიპ.- „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში" აღმასრულებელი დირექტორის პირველ მოადგილედ, ხოლო შემდეგ აღმასრულებელ დირექტორად.

2015 – 2016 წლებში იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

2016 – 2017 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო დავალებათა ელჩად.

2017 წლის ივნისიდან 2021 წლის მარტამდე იყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში.

2021 წლის მარტიდან 2022 წლის 4 აპრილამდე იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი.

2022 წლის 4 აპრილიდან დღემდე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

2019 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და პოლონურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

# ცნობა

**ლაშა ხუციშვილი** დაიბადა 1985 წლის 2 სექტემბერს;

2006 წელს დაამთავრა თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესსკოლა (ESM), კვალიფიკაციით - ბიზნესის ადმინისტრირება;

2006 წელს - პრესტონის უნივერსიტეტი, კვალიფიკაციით - მენეჯმენტი;

2007 წლის ივნისიდან 2008 წლის აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს აპარატში;

2008 წლის აგვისტოდან 2013 წლის იანვრამდე - საერთაშორისო კომპანია Ernst & Young (ერნსტ ენდ იანგ) თბილისის ოფისში, საგადასახადო და იურიდიულ განყოფილებაში;

2013 წლის იანვრიდან 2014 წლის თებერვლამდე იყო სსიპ - შემოსავლების სამსახურის უფროსი;

2014 წლის თებერვლიდან 2021 წლის აპრილამდე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

2016 წლის ივლისიდან 2020 წლის სექტემბრამდე - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და დიდი ოცეულის (G 20) მიერ ინიცირებული დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის (BEPS) ინკლუზიური პლატფორმის ხელმძღვანელი ჯგუფის (Steering group) არჩეული წევრი;

2021 წლის პირველ აპრილს დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

# ცნობა

**ვახტანგ გომელაური** დაიბადა 1975 წლის 24 დეკემბერს;

**2003 წელს** დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია;

**1994 – 2003 წლებში** მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში;

**2003 წლის აპრილიდან 2013 წლის მარტამდე** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტში;

**2013 წლის 22 მარტიდან 2014 წლის 11 დეკემბრამდე** იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

**2014 წლის 11 დეკემბრიდან 2015 წლის 26 იანვრამდე** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

**2015 წლის 26 იანვრიდან 2015 წლის 1 აგვისტომდე** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

**2015 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 8 სექტემბრამდე** – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

**2019 წლის 8 სექტემბერს** დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად;

**2019 წლის 19 თებერვალს** დაეკისრა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქცია;

**2019 წლის 25 აპრილს** მიენიჭა „სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-ლეიტენანტის“ უმაღლესი სპეციალური წოდება;

**2019 წლის 8 სექტემბერს** მიენიჭა „პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის“ უმაღლესი სპეციალური წოდება“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ცნობა

**თეა ახვლედიანი** დაიბადა 1975 წლის 10 იანვარს;

**1996 წელს** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით;

**2006-2007 წწ** - საერთაშორისო კვლევების და სტრატეგიის ევროპული ცენტრი, პარიზის უნივერსიტეტის (XI/Sacley) ინტერდისციპლინარული სწავლებების კოლეჯი (ბელგიის სამეფო, ქ. ბრიუსელი), სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო პოლიტიკაში; დაამთავრა წარჩინებით (შეფასებით Summa Cum laude);

**1999 – 2012 წლებში** გავლილი აქვს მრავალი სასწავლო კურსი და ტრენინგი საქართველოში, ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში: ექსპორტისა და ბიზნესის ხელშეწყობის საერთაშორისო ეკონომიკის; მოლაპარაკებების უნარ-ჩვევების; დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების; ევროპული ინტეგრაციის; საერთაშორისო ფინანსებისა და ინვესტიციების; ეკონომიკური დიპლომატიისა და მსოფლიო ვაჭრობის; ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში;

**1997 წლის ნოემბრიდან 1999 წლის მაისამდე** იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის სამმართველოს სტაჟიორი;

**1999 წლის მაისიდან 2000 წლის აგვისტომდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის სამმართველოს ატაშე;

**2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის ოქტომბრამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის მეორე მდივანი;

**2001 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის აგვისტომდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და ევროკავშირ-საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი;

**2002 წლის აგვისტოდან 2004 წლის მარტამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

**2004 წლის იანვრიდან სექტემბრამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორი;

**2004 წლის სექტემბრიდან ოქტომბრამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**2004 წლის ოქტომბრიდან 2008 წლის მარტამდე** იყო ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოსა და ევროკავშირთან საქართველოს მისიის (ბრიუსელი, ბელგია) მრჩეველი;

**2008 წლის მარტიდან ნოემბრამდე** ეკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა;

**2008 წლის ნოემბრიდან 2014 წლის მარტამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა;

**2010 -2013 წლებში** - საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გენერალური აღმასრულებელი მდივანი;

**2014 წლის 22 აპრილიდან 2019 წლის 1 ივნისამდე** იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესტონეთის რესპუბლიკაში;

**2019 წლის 5 ივნისიდან 2020 წლის 6 აგვისტომდე** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

**2020 წლის 6 აგვისტოს** დაინიშნა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად;

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი;

დაჯილდოებულია პირველი კლასის „ტერა მარიანას“ ჯვრის ორდენით, „მერიტ სილვერ” მედლითა და ღირსების ორდენით.

ფლობს რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

ჰყავს ერთი შვილი.